საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/32

ქ. ბათუმი 02 ივნისი, 2017 წ.

ბსუ-ში 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის №05 დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ში 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით დაევალოთ:
   1.1. ფაკულტეტის დეკანებს:
   ა) ფაკულტეტზე და გამოცდებისა და უნარ-ჩვევების ცენტრში ჩასატარებელი გამოცდების განრიგის (საგნის, საგნის ლექტორის, დამკვირვებლის, გამოცდის დროის, ადგილისა და აუდიტორიის მითითებით) წარმოდგენა 2017 წლის 8 ივნისამდე;
   ბ) ყოველ მომდევნო კვირაში ჩასატარებელი გამოცდების შესაბამისი საგამოცდო მასალისა და საგამოცდო ბილეთების შინაარსობრივი და ხარისხობრივი შემოწმების ანგარიშის წარმოდგენა;
   გ) სტუდენტთა დასწრების ფურცლების შემოწმება და სტუდენტთა გამოცდებზე დაშვების საკითხის გაკონტროლება;
   1.2. საგნის ლექტორს (აკადემიურ/მასწავლებელთა პერსონალს):
   ა) საგამოცდო პროცესზე დასწრება;
   ბ) გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღით ადრე იმ სტუდენტთა სიის (თითოეული ჯგუფის მითითებით) მიწოდება დეკანატისა და გამოცდებისა და უნარ-ჩვევების ცენტრისათვის, რომლებმაც მოიპოვეს გამოცდაზე დაშვების უფლება;
   1.3. საგამოცდო პროცესში ჩართულ პირებს - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 05 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციით“ ხელმძღვანელობა;

1.4. გამოცდების ჩატარებაზე მონიტორინგი - ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურებმა; სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტმა; მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის სამსახურმა; გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრმა; შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებმა და მოადგილეებმა, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა;

1.5. ფაკულტეტის დეკანებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს - გამოცდების პერიოდში, ყოველდღიურად უნივერსიტეტის რექტორს წარმოუდგინონ სამსახურებრივი ბარათები გამოცდების მიმდინარეობის შესახებ;

2. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ა. ბერიძე).

3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამდებობის პირებს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში